კინოთეატრ „რუსთაველის“ პირველი ნაბიჯი კინოქსელის გასაფართოებლად

გლდანში კინოთეატრი „ახმეტელი“ გაიხსნება

მაია ცეცაძე

კინომოყვარულებს სულ რამდენიმე დღეში შეეძლებათ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის კიდევ ერთ ახალ კინოთეატრს ესტუმრონ, ამჯერად, ქალაქის გარეუბანში — გლდანში, რომელიც კინოთეატრ **„ახმეტელის“** სახელით არის ცნობილი და კინოთეატრ „რუსთაველის“ ფილიალად მოიაზრება. მეტნაკლებად დასრულებული კინოთეატრის (სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ გრძელდება) ერთ-ერთი პირველი სტუმრები მასმედიის წარმომადგენლები აღმოვჩნდით. ახალი კინოთეატრის სამომავლო გეგმებზე „რუსთაველის“ კინოთეატრის მენეჯერმა **ბაკურ ლაშქარავამ** და **ოთარ ბუბაშვილმა** ისაუბრეს.

ახალი კინოთეატრის ჰოლში, „რუსთაველის“ მსგავსად, ბარია განთავსებული, მოპირდაპირე მხარეს კი ამერიკული და ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით დაპროექტებული დარბაზი, სადაც 318 ადამიანი თავსდება. კომფორტული სავარძლები და აკუსტიკური მაჩვენებლების თვალსაზრისითაც ახალი სტანდარტის ეკრანი კიდევ უფრო მეტ მაყურებელს მოჰგვრის სიამოვნებას და შესაბამისად, დაინტერესებს, მით უფრო, რომ ბილეთის ფასი კინოთეატრში 3-დან 5 ლარამდეა, მაშინ, როდესაც იმავე „რუსთაველის“ კინოთეატრში ფილმის პრემიერაზე დასწრება 10 ლარს აღემატება. რეპერტუარი ორივე კინოთეატრს საერთო ექნება, თუმცა, „ახმეტელში“ ექსკლუზიურ ჩვენებებიც გვიპირდებიან. ახალი კინოთეატრი „რუსთაველს“, მართალია, ჩამოუვარდება, თუმცა ბევრად უკეთესია, ვიდრე „რუსთაველი“ გარემონტებამდე იყო.

კინოთეატრის მესვეურებს აქვთ გარკვეული პროექტები. ახალი კინოთეატრის გახსნა კი, შეიძლება ითქვას, პირველი ნაბიჯია, რადგან სავარაუდოდ, ყოველწლიურად ახალი კინოთეატრის გახსნა აქვთ დაგეგმილი. მომდევნო კინო-

ადამიანის უფლებები ქართულ კულტურაში

ნინო შენგელია

გუშინ სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით — „ადამიანის უფლებები ქართული კულტურის ნაწილია“.

ამ გამოფენის ორგანიზატორები არიან **ალექსანდრე გაბუნია** და **ნინო გუჯაბიძე.** მათ მიერ წარმოდგენილი პროექტი IRIS-მა დააფინანსა. პროექტი 7-თვიანია და ეტაპებად იყოფა. ეტაპები გულისხმობს გამოფენების მოწყობას, ფილმების ჩვენებას და ასევე, რეგიონებში გასვლას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა. პროექტში აქტიური ხელოვნება უკვე ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექტსში მიმოიხილება. შესაბამისად, ხდება ორი სფეროს დაკავშირება — **საკანონმდებლო და სახელოვნებო სივრცისა.** ყველა მონაწილის ნამუშევარი, ძირითადად, ამ ჩარჩოთია შემოსაზღვრული, მაგრამ არ ართმევს მხატვარს თავისუფალი ნების გამოხატვის უფლებას. **გამოფენის თემატიკას ასევე პატარა ღია ბარათები პასუხობდა, რომლებზეც ცნობილი მხატვრების ილუსტრაციები იყო წარმოდგენილი. ყველა ღია ბარათზე ილუსტრაციის შესაბამისი წარწერა იყო საქართველოს კონსტიტუციის მუხლებიდან.** ამ ლოზუნგებით ორგანიზატორები და მონაწილეები გაერთიანდნენ, წარმოადგინეს ერთიანი კონცეფცია, სახელწოდებით „ადამიანის უფლებები ქართული კულტურის ნაწილია“.

ზვიად ნიკოლაიშვილის ფოტო

ექსპოზიციაზე

HOMO CANTOR ადამიანი-მომღერლის რუსული ვერსია

ნატა კოზიძე

გუშინ გოეთეს ინსტიტუტში პროფესორ ნოდარ ანდღულაძის წიგნის „Homo Cantor“- ის განხილვა შედგა.

მანანა პაიჭაძე, ნოდარ კაკაბაძე და ნოდარ ანდღულაძე

2003 წლის ეს უნიკალური ნაშრომი რუსულ ენაზე ითარგმნა (რუსეთის დაკვეთით) თეოლოგისა და იტალიანისტის — **ნოდარ ლადარიას** მიერ. რუსული თარგმანის პრეზენტაცია მოსკოვში შედგა და დიდი გამოხმაურებაც ჰქონდა კულტურულ წრეებში. წიგნის რუსული ვერსია გამომცემლობა „აგრაფს“ ეკუთვნის (სერიიდან „ჯადოსნური ფლეიტა“). ქართულ ენაზე „Homo Cantor“ პირველად 1997 წელს გამოიცა. ნაშრომის განხილვას ესწრებოდნენ მუსიკოსები, ენათმეცნიერები, თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და უბრალოდ, ვოკალური მუსიკის მოყვარულები...

სათაური Homo Cantor (ადამიანი-მომღერალი) წიგნის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ მნიშვნელობაზე მეტყველებს. მასში საუბარია არა მხოლოდ ვოკალზე, არამედ ბგერის თვისებებზე, რომელიც მომღერალს სხვა ადამიანისგან (თუ ასეთი არსებობს) განასხვავებს.

ნოდარ ანდღულაძე განათლებით ენათმეცნიერიცაა. თუმცა, ოჯახურმა ტრადიციებმა და მოწოდებამ იგი ვოკალურ სფეროშიც გაათვიცნობიერა. ავტორმა გამოსვლა ენრიკო კარუზოს სიტყვებით დაიწყო, რომელიც მას ჟურნალისტებისთვის უთქვამს, მომღერლის ცხოვრება მისი სიმღერით უნდა იწყებოდესო.

თავად **ნოდარ ანდღულაძე** საკუთარ ნაშრომს ასე განმარტავს: — მასში რაციონალურად აისახა ჩემი ცხოვრებაზე. წიგნის მთავარი გმირი სიმღერა და მომღერალი ადამიანია. იგი მოგვითხრობს ავტორის ცხოვრებას, მასში ბგერადი გასაღებია, რომელიც სიცოცხლესა და ყოფიერებას ასახავს.

წიგნის რუსულ ვერსიას მაღალი შეფასება მისცა ენათმეცნიერმა **თამაზ გამყრელიძემ** და აღნიშნა, რომ „Homo Cantor“ გაცილებით მეტია, ვიდრე სიმღერის აპოლოგია.

— წიგნის რუსული ვარიანტი იმდენად მომეწონა, როგორც რომანს, ისე ვკითხულობდი. ბედნიერებაა, რომ ნოდარ ანდღულაძის სახით ასეთი მოაზროვნე, მეცნიერული გონების ადამიანები ჰყავს ჩვენ კულტურას, — განაცხადა **გიგა ლორთქიფანიძემ.**

ფსიქოლოგმა **შოთა ნადირაშვილმა** კი „Homo Cantor“-ის ფსიქოლოგიურ მნიშვნელობაზე ისაუბრა და მას „ფანჯარა ადამიანის არსისა და რაობის შესახებ“ უწოდა.

— ეს წიგნი ადვილად არ იკითხება, რადგან მასში ყოველი წინადადება ისეა დატვირთული აზრით, მკითხველს ისეთ სიღრმეებს უჩვენებს, რომ დიდ აზროვნებასა და ანალიზს მოითხოვს, — აღნიშნა თეატრმცოდნე **ნათელა ურუშაძემ.**

ამჟამად ნოდარ ლადარია წიგნის იტალიურ თარგმანზე მუშაობს.